№ 38.

წელიწადი პირველი

# ივერია

17 ნოემბ. 1877 წ.

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წლის.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**საძიებელი** I. საქართველოს მატიანე: ტფილისი, ქუთაისიდამ, თელავი, გახეთი, სიღნაღის მაზრა, სურამი; გაკვრით,—II. საპოლიტიკო მიმოხილვა:—საფრანგეთი, ინგლისი, ოსმალეთი.—III. ომის ამბები.—IV. წერილი პეტერბურღიდამ. (წერილი მეორე)—V. ბრძოლა რომის დასაპყრობლად.—VI. განცხადება.

## საქართველოს მატიანე

**ტფილისი.** 15 ნოემბერს მოხდა ტფილისში მეორე საზოგადო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა. კრებაზედ დასწრო ოცდა ცამეტი წევრი, მაგრამ რამდენიც უნდა მოსულიყვნენ ამ კრებაზედ, კრება მაინც კანონიერი იქმნებოდა წესდების ძალითა, რადგანაც ეგ მეორედ დანიშნული კრება იყო.

ძალიან სამწუხაროა ყველასათვის, ვინც კი საქმის მოყვარეა, რომ ასე ცოტა ხალხი მოვიდა პირველს კრებაზედაც და მეორეზედაც. ძალიან სამწუხაროა რომ ჩვენები ესე გულგრილად ეკიდებიან იმ საზოგადო საქმეს, რომელსაც წარმოადგენს ბანკი. იმედი ვიქონიოთ რომ შემდეგში ამისთანა შეუნდობარს გულგრილობას ჩვენს შორის ადგილი აღარ ექმნება.

კრებამ განიხილა ოთხი საგანი და გადასწყვიტა 1) ორის სტიპენდიის დაარსებისათვის გადიდოს ბანკის ორის წლის მოგებიდამ იმოდენა ფული, რომელსაც შეეძლოს წელიწადში ორმოცდა თერთმეტის თუმნის სარგებლის მოტანა და ამ სარგებლის ფულით გაიზარდოს: ერთი ქალი ამიერ კავკასიის ინსტიტუტში მის იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრინას ოლღა თეოდორას ასულის სახელითა და მეორე—ერთი ყმაწვილი რომელსამე სამხედრო გიმნაზიაში მის იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძის სახელითა.

2) რაც ამასა და 1876 კრებისაგან დანიშნულს საგანს ფული გადურჩება ამ ორის წლის მოგებიდამ—ის ფული სრულად გადიდოს ღარიბთა ყმაწვილთა სწავლისათვის.

3) მიღებულ იქმნას აღსასრულებლად ფინანსთა მინისტრის წინადადება, რომ ბანკის მოვალეებს, რომელნიც მეომარ ჯარში იმყოფებიან, დაჰხსნადდეს ბანკში შემოსატანი ვალის ფული 1877 წლის 1-ს ივლისიდამ 1878 წლის 1-ს ივლისამდე.

4) ზედამხედველ კომიტეტს მიენდოს უფლება გადაყენოს ბანკის სამსახურიდამ ის დამფასებელნი (აცენზიავები), რომელნიც თავის მოვალეობას რიგიანად ვერ შეასრულებენ.

სხვა რაც გასარჩევი საგნები იყო დანიშნული კრებამ გადაჰხსნა მომავალის მაისის კრების განსახილველად. ხოლო არჩევანი კი მოახდინა დირექტორისა დაფუარულის გენჭით. ამ არჩევანში დასწრო მხოლოდ ოცდა ათი კაცი, რადგანაც სამი ადრევ წავიდა კრებიდამ. ამოარჩიეს ისევ ძველი დირექტორი თ. დ. ივ. ავალიშვილი, რომელსაც ოცდა ათივე კენჭი სულ თეთრი მოუვიდა.

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

**ქუთაისიდამ გვწერენ:** „მოგეხსენებათ, რომ სტუდენტებს ჩვეულებად აქვსთ იდღესასწაულონ დაარსების დღე იმ უნივერსიტეტისა, სადაც გაუტარებიათ „თვისის სიცოცხლის უკეთესნი დღენი“—როგორც ამბობს ერთი გამოჩენილი რუსის მწერალი. ცხრას ნოემბერს რამდენიმე სტუდენტმა კიევის უნივერსიტეტისამ აქ ქუთაისში ისურვეს ამ უნივერსიტეტის დაფუძნების დღის დღესასწაულება. მათ მიემხრნენ სხვა უნივერსიტეტის ზოგიერთნი სტუდენტიცა და ამ ნაირად შეიყარნენ სადილად 25 კაცი. მათ შორის იყო ტფილისელი დოქტორი უფ. კარპოვიჩი, რომელიც იმ ჟამად მგზავრად იმყოფებოდა ქუთაისში და შეეტყო თუ არა რის თაობაზედაც შეურილიყვნენ სტუდენტები სადილად „ლივადიის“ სასტუმროში და რადგანაც თვით პირველი სტუდენტი ყოფილა კიევის უნივერსიტეტის დაფუძნების დროს, გულმა ველარ მოუთმინა თურმე და მიირბინა, რომ სადილს დასწრებოდა. ყველას იამა ამ მოხუცებულის მოსვლა და ის სტუდენტების „ვეტერანი“ ამოირჩიეს ნადიმის თავ-მჯდომარედ. წარმოითქვა რამდენიმე მხურვალე სიტყვა სტუდენტობის მნიშვნელობაზედ,—განგვიახლდა მახსოვრება იმ მშვენიერის დროებისა, როდესაც კაცი ისე უანგაროდ, ისე თავ-დაუზოგველად გატაცებულია საზოგადო სიკეთისათვის, და ხშირად მშიერ-მწყურვალი, გაჭირებული და შეიწროებული იბრძვის სწავლის შეძენისათვის. ვიგალობეთ საზოგადო სტუდენტების ლექსი „gaudeamus igitur“ და მართლათაც „მოხუცნი აღორძინდნენ და ჭაბუკნი კისკასობდნენ.“

ამ ჩვეულებრივს სიამოვნებას ზედ დაერთო არა ჩვეულებრივი სიხარულიცა: სწორედ იმ დროს მოგვივიდა ყარსის აღების ამბავიცა. რამდენჯერმე დავლიეთ ჩვენის ძლევა-მოსილის ჯარის სადღეგრძელო.

აქვე ზოგიერთმა წარმოსთქვა, რომ კარგი იქმნებოდაო, ჩვენ სტუდენტებმა შევადგინოთ საზოგადოება ღარიბ-მოსწავლეთა შეწევნისათვის ქუთაისის გიმნაზიაში და პროგიმნაზიაშიო. მათ გამოსახეს ის გაჭირებული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება უფრო ბევრი ნაწილი მოსწავლეთა, აღიარეს რომ მშვენიერის ნიჭის და გულის ყურის პატრონები არიანო, მაგრამ ფულაკლობით ვერას ხდებიანო. „ნუ დავივიწყებთო, განმარტა ერთმა, რომ გიმნაზია უმზადებს უნივერსიტეტს სტუდენტებსაო; იგია მისი სათავე და საფუძველიო. სხვათა შორის წარმოსთქვეს ჰაზრი, რომ ამ საზოგადოების მეოხებით უნდა აღიზარდნენო ყველა ღარიბნი რა ტომისა, მთამომავლობისა და სარწმუნოებისაც უნდა იყვნენო. ეს ჰაზრი ყველამ მოიწონა და იქვე ამოირჩიეს ხუთი კაცი, რომელთაც მიანდეს ამ საგანზედ წესდების შედგენა, წარდგენა მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად და წევრთა მოწვევა ამ საზოგადოების შესადგენად. აქვე მოგროვდა ათ თუმნამდე შესადგენად თავნისა ამ საქმისათვის. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამორჩეულთ პირთ დაუწყვიათ კიდეც წესდების შედგენა და იწვევენ ყველას თანამგრძნობელს წევრად ამ მართლა და საკეთილო საზოგადოებისათ. ამასთანავე შევიტყეთ, რომ ამ მოკლე ხანში კონცერტი და ცოცხალი სურათები იქმნება გამართული ამ საქმის სასარგებლოდ. ვიმედოვნებთ, რომ ამ ქველურ საქმეში მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას (რასაკვირველია თვითველი თავის შეძლებისაგვარად) ჩვენი ნასწავლი ახალგაზდობა, ჩვენი თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და ვაჭარი ხალხიცა. მოვიხსენიოთ თუ რამდენი მშვენიერი ნიჭი იკარგება ღონისძიების უქონლობის გამო, რამდენი ნიჭიანი ყმაწვილი იძულებულია თავი დაანებოს სწავლას და მესამე თუ მეოთხე კლასიდამ, გამოვიდეს მოვიხსენიოთ რომ რუსეთის ყველა გუბერნიის და თითქმის უეზდის ქალაქებშიაც გამართულია ამ ნაირი საზოგადოებანი და რა ცუდი იქმნება, რომ ჩვენშიაც თავი გამოვიდოთ და ამ საკეთილო საქმეში სხვას უკან არ ჩამოვრჩეთ. თუ გვინდა, რომ ჩვენი ხალხი ხალხობდეს, დროა შევხედოთ რას შვრება ყველა განათლებული ხალხი თავის შვილთა აღსაზრდელად, როგორ უწყობენ მათ ყოვლონაირად ხელს და ამით გზას იხსნიან კარგისა და ბედნიერის მომავალისათვის. თუ ჩვენ გვსურს საზოგადოების სახელი ვიქონიოთ, დროა გულმტკივნეულად დავუკვირდეთ ჩვენის სასწავლებელის და მოსწავლის ბედს და უბედობას.

10-ს გიორგობისთვეს
1877 წ. ქუთაისი.

---

**თელავი.** მადლობა ღმერთს, ძლივს არ გვეღირსა თელავში ტელეგრაფი! ეს ორი კვირაა რაც მუშაობს, რაკა-რუკი ისმის თელავის ტელეგრაფის სტანციო-

დამ. თუმცა ტელეგრაფი დიდი იმედია თელავის საზოგადოებისათვის, მაგრამ თელაველები რომ საზოგადო საქმის მომჭირნენი იყვნენ, უფრო დიდს სარგებლობას გამოარჩებოდნენ ტელეგრაფიდამ ნამეტნავათ ეხლა, როდესაც ყოველის ცოტათი მაინც „ცოცხალის“ კაცის ყურები და გონება მიპყრობილია ბრძოლის ველზე, საიდგანაც მოელის სასიხარულო ან სამწუხარო ამბებს.... ნეტავი იმ საზოგადოებას, რომელშიაც რამოდენიმე პირი მაინც არის, რომელიც საზოგადოების წარმატებაში შესვლისათვის სცდილობენ და იბრძვიან; ნეტავი იმ საზოგადოებას, რომელსაც გულშემატკივარი წევრნი ჰყავს!.. თელავის საზოგადოებაში იპოვებიან ამისთანა წევრნი? ნუ თუ სანთლით მაინც ვერ მოიძებნებიან სასარგებლო წევრნი?! საუბედუროთ ჰოს მაგივრათ სამწუხარო და გულმოსაკლავი „არა“ უნდა გსთქვათ! თელავის საზოგადოებას ჯერ ისევ სძინავს „გმირულის ძილით“ და ყურსაც არ იბერტყავს თავის ყოფა ცხოვრების გაუკეთესობისათვის. ესენი სრულებით არც-კი სცდილობენ, რომ სხვა კეთილის მზრუნველობას მიჰბაძონ და თავის უკან ჩამორჩომილი საზოგადოება ცოტათი მაინც წარმატებაში შეიყვანონ. თვალით ჰხედვენ და კარგათაც იციან, რომ ესა-და-ეს საქმე რომ გაკეთდეს, ჩვენი ცხოვრება უკეთ წავაო; მაგრამ შენ ნუ მომიკვდე, ესენი სრულებით არც-კი სცდილობენ გაკეთებას. კაცი ვერც-კი გამოსთქვამს ენით, როგორი მშვენიერი მდებარება აქვს თელავს, და კაცი ვერ გამოსთქვამს იმასაც, როგორი უსუფთაო, ტალახიანი, გაუნათებელი და საზოგადოთ დამახინჯებულია საზოგადოებითურთ ეს ჩვენი თელავი, რომელსაც ნეტარ-ხსენებულმა არხიმანდრიტმა ტარასიმ (მესხიევმა) „ქვეყნიური სამოთხე“ უწოდა. აბა ჩაიარეთ, თელაველებო, ქუჩებში, მაგრამ ქუჩები ხომ არ არის თელავში, ერთის მეტი (ბულვარი), ორღობეებია, რომლებიც ყველა კახეთის სოფლების ორღობეებზე უფრო ტალახიანი და ოღროჩოღროა. აბა ერთი გაისეირნეთ ძველ გალავნისკენ. გაკეთებულია „დაბლების“ აღმართი? ამ ერთის თუ ორის წლის წინათ დაბლებთან ხევზე (ძველ-გალავნის და მაწანწარის შუა ჩამოდის) ბოგირი აღმართეს და თითქო შეგვცდაო—დაიძახეს: აფუო! და არ ვიცი ვისის განკარგულებით, ისევ დაანგრიეს... ჩაიარეთ თელაველებო, კაზარმის ქუჩაზე, რა მშვენიერი სურათი წარმოუდგება თქვენს დაბრმავებულ თვალებს და რა საძაგელი სუნი ეცემა, თქვენს ბევრის ღოთობით ყნოსვა დაკარგულს ცხვირს: მე მგონია მუხლებამდინ-კი ჩავარდეთ ტალახში და ხელს-სახოცები მიიფაროთ ცხვირზე და! მაგრამ აკი წედანვე გსთქვი: რომელი ქუჩაც უნდა ავიღოთ, ყველა ტალახიანი და ოღროჩოღროა.... ქალაქის განათებაზე ხომ, არ ვიცი, რა გსთქვა. მთელ თელავში სულ ხუთი-ექვსი ფარანია! ორი ბულვარზე, ერთი მაზრის უფროსის სახლთან,— ერთი გაგუნანთ უბანში, პატარა საყდრის უკან, ერთი-თუ ორი ბაზარში,—აი თელავის განათება! ღმერთს ერწმუნე, მკითხველო, ღამე, როცა მთვარე არ არის, კაცი ცხვირ-პირს დაიმტვრევს, თუ „თელაველი მებულვარის“ ხელობა უჭირავს, რომელსაც უსაქმობის გამო, ქუჩები სულ ნაბიჯით აქვს დაზომილი. თელავის საზოგადოების უზრუნველობას თავის ცხოვრების განკარგებისათვის ცხადათ გვიმტკიცებს ყასაბხანების გარშემო არე-მარე: ისეთი ტალახი და აყროლებული სუნი წარმოუდგება იქ მიმსვლელს, რომ სრულიად გული არ მიუა კაცს იქ დაკლულის საკლავის ხორცის ჭამაზე. ამ ცოტა-ხანში ერთი ყასბის დუქანი გაადეს, ბატონის წყაროს გვერდით და ისე აყროლეს და ატალახეს ბატონისწყაროს გარშემო ადგილი, რომ კაცი ვერ მისულა წყლისათვის. ჯერ შორი-ახლოც რომ გაიაროს კაცმა, მაშინაც-კი საშინელ მყრალ სუნსა ჰგრძნობს. ვინ არის თელავის ამ უსუფთაობაში დამნაშავე? ყველა დამეთანხმება, რომ თელავისავე საზოგადოება და არა ბეკინისა. თუმცა ამბობენ, რომ ჩინელები სრულებით არ მისდევენ და სრულებით არა სცდილობენ თავის ცხოვრების განკარგებასაო და გაჩერებულნი არიან ერთ და იმავე წერტილზედაო, მაგრამ, დამერწმუნე, მკითხველო, თელაველებმა ამ შემთხვევაში ჩინელებს გადააჭარბეს. თელაველებმა ღვინო კი გადაჰკრან, თორემ ცხოვრების განკარგება რათ უნდათ, რა ამათი ხელობაა! განა განათლებულის ევროპიის ხალხის მეცადინეობა კი არ ეყოფა ქვეყნიერობას!? ესენი ამბობენ: თუ სხვა ხალხებმა განათლება დაიქადეს, ჩვენ ღვინის სმას დავიქადებთო, თუნდა გამოვითხოვთ ვისაც უნდა ღვინის სმაშიაო. თელაველები პარიჟის გამოფენაზე გზავნიან რამოდე

ნსამე თავის წვერს ღვინის სმის საჩვენებლად. საქმით ხომ ყოჩაღები არიან ღვინის სმაში, და მწიგნობრობითაც აპირებენ დაამტკიცონ იგივე თხზულებით, რომლის სახელიც «философія здраваго винопитія» იქნება. აი როგორ აკეთებენ თელავლები საზოგადო საქმეებს: თუ სადმე არიფანაა პიკნიკიაა, რასაკვირველია მაშინვე თითოს-კი არა, ხუთ-ხუთს მანეთსაც მისცემენ, და თუ რამე საზოგადო და სასარგებლო საქმისთვის აგროვებენ ფულებს, მაშინ თითო აბაზსაც არ გაიმეტებენ. ამას ცხადათ გვიმტკიცებს ტელეგრამმის უქონლობა: როგორც გავიგე, თვეში ტელეგრამმის დაბარება დირს 45 მანეთი და თელაველებს ვერ მოუხერხებიათ, რომ ეს მაინცა ჰქმნან. რა იქნება—თითო მკომურს (მგონი 2,000 კომლამდინ არის თელავში) სულ ორ-ორი—თუ სამ-სამი კაპეიკი შეხვდება და ესეც ვერ უთავებიათ. ყველა ქალაქებში და ზოგ სოფლებშიაც კი სხვა და სხვა სასარგებლო საზოგადოება სდგება და თელავში-კი ფიქრადაც არ მოსდით. უხეირო საზოგადოება-კი, რამდენიც გნებავთ მოიკითხეთ!... უბედური თელავი! ფოშტა ორჯერ მოდის კვირაში და ისიც თავის დროზე არა: ორშაბათის მაგივრათ სამშაბათს საღამოს მოდის ხოლმე. ნათქვამია: „როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო;" „როგორიც მღვდელი, ისეთი ერიო." თელავსაც ისე მოსდის: რასაც სთესავენ თელაველები, იმასვე მკიან... სად არის ერთი დიოგენი, რომ თელავლებს არ ეტყვის: „თქვენ ხალხი-კი არა—თელაველები ხართო!..." ზოგი შემდეგში.

—

კახეთი. გაგვიჭირეს საქმე ამ წვიმებმა! ოკტომბერმა ისე გაიარა, რომ ცივის წვერებს ჯანღი არ მოშორებია; ცივი თელავის ბარომეტრად იწოდება, რადგანაც თუ იქ ჯანღია, კახეთი დარს არ უნდა მოელოდეს. წამოვა ერთი საშინელი ნოტიოიანი და ცივი ჯანღი და მოეფინება მთელს კახეთს. აი ნოემბერიც დადგა, მაგრამ გაუწყვეტელი წვიმების გამო ბევრს ჯერ პური არ დაუთესია. ლეკებისა არაფერი ისმის. საუბედუროდ კახეთში, გაღმა მხარეს, საქონლის ჭირი მისდევს სოფლებს ალვანიდგან და აქცევს ათობით და ოცობით საქონელს და დუპავს უმისოდაც დაღუპულ გლეხ-კაცს. ჯერ ნაფარეულამდინ არის ეს საშინელი ჭირი და შემდეგ—არ ვიცი. ამბობენ, რომ ზამთარში უფრო ძალიან ვრცელდება ეს ჭირიო, და, თუ მართალია, სულ ერთიან დაიღუპება კახეთი! ნეტავი ვიცოდე მ ვეტერინარებს რომ ემახიან, არ შეიძლება რომ ყურები გაიბღერტონ, და, თუ მაინც-და-მაინც კახეთში წამობძანებას არ ინებებენ, პატარ-პატარა დარიგებანი გამოუგზავნონ სოფლებში, რითაც და როგორც უნდა შეინახონ და მოუარონ საქონელს, რომ ამ საშინელის ჭირისაგან გადაარჩინონ კახეთის უმისოდაც დაზარალებული საქონელი?....

ქართველი.

ქ. თელავი.
1877 წ. 4 გიორგობისთვე.

—

სიღნაღის მაზრა. ს. მაღარო 5 გიორგობისთვეს 1877 წ. წარსულს თვეებში შემთხვევისა გამო, მე მომიხდა ზემო მ—ნის სასოფლო სასამართლოში შესვლა; აქ ჩვეულებისამებრ ხალხის ყრილობა იყო; ზოგი სასამართლოში ისხდნენ და რაღაზედაც ლაპარაკობდნენ, ზოგი გარეთ ეზოში ხუმრობდნენ და იწევდნენ ერთი-ერთმანერთზედ საცემლად, მხოლოდ მსაჯულები ისხდნენ ერთს გძელოთს ფეხიან ფიცარზედ და ასამართლებდნენ ერთ რაღაც გლეხების საქმეს. ამ დროს ერთი ოჯახი შვილი მ—ში მცხოვრებელი მ. გ—შვილი, შემოვიდა და გამოუცხადა პირათ მოსამართლებს: თქვენის სოფლის მცხოვრებლს მავანსა და მავან კაცს, ჩემი ფული ემართა ორის თამასუქით და ის ერთი კვირაა რაც გარდაიცვალა, გთხოვთ დაიბაროთ იმისი შვილი და გარდაახდევინოთო.

მსაჯულებმა ფიცხლავ გაგზავნეს გზირები მოსაყვანათ მოვალის შვილისა, რომელიც ცოტას ხნის შემდეგ მოიყვანეს. თამასუქის პატრონმა რა წამსაც დაინახა მოვალის შვილი მაშინვე ამოიღო ჯიბიდგან ორი გაცვეთილი, გახუნებული და გაქონილი ქაღალდი ერთი 34 და მეორე 33 წლისა და მისცა მსაჯულებს.

ამ ორივე თამასუქების თავნი იყო 45 მანეთი. მსაჯულებმა უთხრეს მოვალის შვილსა, რომ უნდა მისცე ამის შენის ნავალები ოთხი თუმანი და ნახევარიო. მან მრ იკისრა და სთქვა: თუ ემართა მამა ჩემსა რატომ ართხელ სიცოცხლის დროს არ მოვიდა და არა სთხოვა? რადგანაც მამა ჩემმა წერა არ იცოდა რატომ შე

მოწმებული არ არის თამასუქებიო? მე გამიგია, რომ თამასუქი ათ წელიწადზედ მეტი ხანი თუ დარჩა და არსად გამოუცხადებია ძალა აღარ ექნება? ეხლა მე არას მივცემ რადგანაც ვერაფრით ვხედავ მამი ჩემის ნავალდევს და არც თქვენ მოსამართლეებს შეგიძლიანთ, რომ ჩემზედ ძალა მოიტანოთ და გადასწყვიტოთ, რადგანაც ჩემი მოდავე, ჩვენ საზოგადოებას არ ეკუთვნის, წავიდეს და სიღნაღის მომრიგებელთან მიჩივლოს და თუ დამავალებენ მე რაღა ძალა მაქვსო:“

მსაჯულებმა დაუწყეს ცემა და ლანძღვა: როგორ თუ არ მისცემ და როგორთუ არ შეგვიძლიან, რომ ჩვენ ძალა მოვიტანოთ შენზედაო. (აქ გადმოსქდა საწყალს სისხლი თავიდგან.) ამისი მოხუცი დედა მოიჭრა ტირილით და თავში ცემით, და ეხვეწებოდა: „ნუ მიკლავთ შვილს თქვენი ჭირიმეთ!“ უნდა ვსთქვა, რომ ამ მოხუცის დედაკაცის შემხედველს უნდა ქვის გული ჰქონოდა, რომ იმის საცოდაობისთვის ეყურებინა; ისე საცოდავად და გულ-საკლავად ბღაოდა. მსაჯულებმა ამოჰკრეს ახლა ამ მოხუც დედაკაცს წიხლი და გააგორეს დედა-მიწაზედ. საწყალმა თავ-პირი დედა-მიწაზედ წააგალა. ახლა ამ საცოდავ მოხუც დედაკაცს გადმოსკდა სისხლი. მსაჯულებს დამისხედით, მსაჯულებს! ბოლოს ორნი დედა-შვილნი წავიდნენ ისე თავ-პირ დამტვრეულნი და მოსვრილნი სისხლში საჩივლელად სიღნაღის მაზრის უფროსთან, მაგრამ უფროსს, ამათთვის ზედაც არ შეეხედნა და როცა დაღალულიყვნენ იქ დგომით დაეპირებინათ შინისკენ დაბრუნება, მაშინ შეხვედროდათ ერთი ვიღაც მადლიანი პირი და ეთქვა, როცა ამათი ბოროტება გაეგო, რომ ხუთი დღეც სხვა იდგეთ ამ უფროსის კარზედ, მაინც თქვენ არაფერს გზას არ მოგცემთ და კიდეც გაგყრით, აქედგანაო; ისევ მომრიგებელს მოსამართლეს მიჰმართეთო, იქ კარგი მოსამართლეა, უთუოთ გეშველებათ რამეო. ასე ამის დარიგებით კიდეც მიმართეს თურმე, და მომრიგებელმა მოსამართლემ იმავ წუთს დაუნიშნა ვადა და დაიბარა პასუხის-მგებელნი. ესენი რომ საჩივლელად წავიდნენ, აი მოსამართლეებმა რა მოახდინეს: გაგზავნეს გზირები მოვალის სახლში, უღელი კამბეჩი რომ ჰყავს აქ მოიყვანეთო, ვალში უნდა გავუყიდოთო. აქედ-იქიდგან ეხვეწებიან გლეხი-კაცები: „თქვენი ჭირიმეთ, მაგას კი ნუ გაუყიდით და თუ გინდ ჩვენ ყელები დაგვჭრითო, მაგისი ცხოვრება ეგ არის, მაგითი ასაზრდოებს ცოლ-შვილსა, ობლებსა და იმორებს სახელმწიფო გადასახადსაო. თუ მაგასაც გაუყიდით რითი უნდა იცხოვროს? ხომ დაეხოცება შიმშილისაგან ცოლ-შვილი და ამოდენა ობლებიო?“

ჯერ არ უგონებდნენ და ილანძღებოდნენ: „წავიდეს მაგისი......ასე და ისე, ვნახოთ ნაჩალნიკისაგან როგორი პანჩურ ამოკრულები გამოვლენო.“

ბოლოს მსაჯულებმა დაანებეს კამბეჩებს თავი და მოასერხეს ასე: მოატანინეს თამასუქის პატრონს ერთი ვექსილის ქაღალდი და ის 34 და 33 წლის თამასუქები, რომლებიც იყო მამის ნავალები (თუ მართლა იყო ნავალები) გადმოიღეს შვილზედ, იმ დღის რიცხვით, როდესაც მოხდა ეს ამბავი, ვითომც და იმ რიცხვით ამას ივალა.

მწერალს დააწერინეს 50 მანეთის ვექსილი, თუმც კი ძველებიდგან ხჩანდა 45 მანეთი ამ დაწერის დროს. ერთ მსაჯულს დ. 6—შვილს ფიქრები საითღაც წასულოდა და როცა მოუბრუნდა საქმეს, მაშინ დაინახა, რომ მწერალი 50 მანეთსა ჰსწერს ვალად. წაუსვა ხელი 50 ციფირსა და წაშალა ამ სიტყვებით: „ხუთი თუმანი ცოტაა, დააწერეთ ექვსი თუმანი იმისი... ასე და ისე.“ (თუმცა კი თვით ძველის თამასუქის პატრონს 50 მანეთიც ებეურებოდა...) ასე ამ რიგათ 50 გადაასწორეს 60 მანეთად ორ ადგილას, თან ერთი თვე ვადაც დაუდვეს.

ვექსილი იმ მოსაზრებით დასწერეს, რომ ვითომც იმ დღეს, როდესაც მოხდა ზემოწერილი ამბავი, დაეთვალოს ვექსილის პატრონს მოვალისთვის ნაღდი ფული და არა ძველი თამასუქებიდგან გადმოეღოთ. სამთავ მსაჯულთ თავიანთის კრებით ქ. ი. მამასახლისით და მწერლით მოუწერეს ხელი. რადგანაც ვალის ამღებმა წერა არ იცოდა, (ეგ წინადვე იცოდნენ) იმის მაგივრადაც მწერალმა მოაწერა ხელი. თუმც კი სთხოვეს გარეშე პირთ და თვითონ მეც, რომ იმის უწიგნოებისა გამო ჩვენ მოგვეწერა ხელი, მაგრამ ვინ გავბედავდით, რადგანაც მოვალე იქ არსად იყო, დაჰკრეს ბეჭდები და მისცეს ძველის თამასუქების პატრონს.

ამანაც იქავ ახლო დუქანში, გაატეხინა სადილი (არ ეკუთვნოდა, თუ?) მოიწვივა კეთილის მყოფელნი მოხელენი და დილით ათ საათიდგან მოკიდებული, საღამოს 5 საათამდის ძალზედ დაიყენთნენ ღვინისაგან და საღამოს 5 საათზედ ცოტათ შეზარხოშებულ გზირებს

ზურგზედ წამოკიდებული გუდურასავით ტალახში ამოსვრილი მსაჯულები მიჰყავდათ შინისკენ. ესეც ამათი უიღბლობა! იმ დროს ძრიელ წვიმიანი დღეები იყო და თავპირი ისეთეთები დასდომოდათ, უფრო ორ მსაჯულს დ. ნ—შვილს და ნ. ბ—შვილს, რომ როგორც ჩურჩხელა ახლად ამოვლებულ თათარაში ისე მოსვრილიყვნენ ტალახში.

მეხუთე დღეს მოუვიდათ სიღნაღის მომრიგებლისაგან უწყებები, როგორთაც მოჩივარს და მოპასუხეს, აგრეთვე მთელ კრებას მსაჯულებისას და მოწმესაც. რაღა თავი შევაწყინოთ: რაც ზევით მოგახსენეთ ყოველი ასე დაწვრილებით მოწმებმა ილაპარაკეს სასამართლოში და მოსამართლემაც ვექსილი გააუქმა, რადგანაც საკმაოდ დაამტკიცეს სიყალბით შედგენა ვექსილისა და მთელი კრება მისცა სიყალბისათვის სისხლის სამართალს.

ეს სოფლის მოხელეები, აბა ახლა ვნახოთ მათზედ უფროსნი მთავრობის კაცნი. ერთი დალაქი მივიდა სიღნაღის უფროსთან საჩივლელად მოხელეებზედ. უფროსმა ყური ათხოვა იმ დრომდე, ვიდრე დალაქი თავისას მოახსენებდა. გაათავა დალაქმა თუ არა, დაუბრაგუნა უფროსმა ფეხები და ეს პატიოსანი კაცი კარში კი გამოაგდო. იქ ბევრი დამსწრე ყოფილა ამ ამბავისა, დალაქს ბევრი მათგანი მოწმათ დაუწერია და ეხლა, ამბობენ, გუბერნატორს საჩივარი მიართოვო. რადგანაც სხვა გზა არ არის და ამისგამო ყველამ რომ ესე მოუაროს თავისთავს, როგორც დალაქმა, ესე დაიცვას თვისი ღირსება. მაშინ მე ვგონებ არც იმისთანა უფროსნი იქმნებიან, რომელნიც უპატიურად ექცევიან ხალხსა და თუ იქნება, შიში მაინც ცოტაოდნად შელაგმავს და გააფრთხილებს. მაგრამ წელმოწყვეტილს, ულონიარს, მიწასთან-გასწორებულს გლეხ კაცს სად შეუძლიან თავისის ღირსებისათვის თავი გამოიდოს. ეს იციან გამაუპატიურებელთა ძალიან კარგად და ამისთვისაც ესე თამამობენ დაუსჯელად და გაუკითხავად.

ს. შ.

---

**სურამი.** 7 ნოემბერს. ამ გავლილ კვირა დღეს სურამში იყო ნაცვლის ამომარჩევად ხალხის ყრილობა. აქაურის მამასახლისის არჩევას და საფრანგეთის ახლანდელ პოლიტიკას თითქმის ერთმანეთში ცოტა მსგავსება აქვსთ.

სანამ ვიტყოდე ამ ყრილობაზე რასმეს, ნება მიბოძეთ ჯერ ერთი-ორი სიტყვა გსთქვა აქაურს მაკ-მაჰონზე და იმის ვინაობაზე, მერე მოგიყვებით ლაპარაკს ზემო თქმულს არჩევანზე.

სურამელი მაკ-მაჰონი ლ. აგერ სამი წელიწადია, რაც მამასახლისის თანამდებობას ასრულებს. სურამის ქუჩაში რომ გაიაროთ და შეგხვდეს პირველათ ტანმდაბალი კაცი, მძინარე რომელიმე ბოგირის მოაჯირზე, ხელში ჯოხი, დაპხრეწილის მაღალის ქუდით, დახეულის ჩოხით და დაგლეჯილისა თუ არა, მაინც ქუსლებ დაგრეხილის ყარაბახულის წაღებით ის გახლდებათ სურამის მამასახლისი.

ისეთი საბრალო სანახაობა აქვს, რომ პირველსავე ნახვაში ისე შეგებრალდებათ, რომ მოინდომებთ ჩუქებას ერთი-ორის გროშისას, მაგრამ ნუ სწუხდებით, მკითხველო, შეინახეთ ეგ გროშები სხვა საჭიროებისათვის; ის ღარიბი არ გახლავს. იმას აქვს კაი ოჯახი და კაი გაწყობილება ოჯახისა თავისდაგვარად. სიმდიდრე და ქონება იმასთან ძალიან მეგობრათ არიან.

ამას არც კუდა ვირი ჰყოლია და არც ხუთი მანეთი, მაგრამ რაღაც მოვლენით მიხწევნილა იმ ხარისხამდისინ, რომ სურამის იმამათ ამორჩეულა..

მართალია, სამი წელიწადია რაც მამასახლისად ბრძანდება, მაგრამ ამ სამი წლის გამომავლობაში მაზრის უფროსის ბძანებების ასრულების და უწყებების დარიგების მეტი სხვა საქმეს ვერას დაჰსწამებთ და რაც შეეხება სასოფლო სამმართველო და საზოგადო საქმეებს—ჰკითხევით იმის გზირს-ქოსუნას, ის მოგცემსთ ანგარიშს. მთელს სურამის საზოგადოებაში თუ ერთი კაცი გამოვიდეს მადრიელი ჩვენის მაკ-მაჰონისა მე ხელს მოვიჭრი; მაგრამ სამი წელიწადია ის სამსახურში უძრავ კლდესავით იყო. რათა? იმიტომ, რომ პირველად სომეხია, მეორედ-მდიდარი.

აი ეს სამაგალითო კაცი ჯოხით ხელში დარბოდა ქუჩა-ქუჩა და ხალხს აქეზებდა, რომ ისევ ის აღმოერჩიათ მამასახლისათ. ჰაი თუ მადა ჰქონია!...

არჩევანის დროს სურამის საზოგადოება გაიყო სამ დასად. პირველს დასს შეადგენდნენ სომხები, მეორეს ურიები, მესამეს ქართველები. ყველა დასს სახეში ჰყავდა თავისი კაცი და ცდილობდა, რომ ის აღმოერჩიათ

პრისტავმა მოიხმო ხალხი სახლის თავზე თითო კაცი, არჩევანი მოახდინა თავისის სადგომის წინა. შეიყარნენ ეს სამი გვარის კაცნი და დაიწყეს ჩვეულებრივი ყაყანი. ზოგი ანს იძახდა და ზოგი ბანს. ამას მოემატა სხვა ორი კერძო საქმე, რომლებიც ისე გაადომხალეს ლაპარაკი, რომ ეს ყრილობა წარმოადგენდა ბაბილონის გოდოლის აშენებას — ერთის ლაპარაკი მეორეს არ ესმოდა. ორი საათი იქ ვიდექი და რაზე ლაპარაკობდნენ ვერ გავიგე. ეს კერძო საქმეები იმაში მდგომარეობენ, რომ სურამის გზირმა მოიტანა იქ ხალხში მთელი გოდორი სავსე ხორცი, რომელიც ეპოვნათ სურამის გარეთ განძრახ იმისთვის გაკეთებულ სარდაფში. აქაური ადგილის ჯარის და საავათმყოფების მოსამსახურე სალდათებს ტყეში გაუმართიათ საყასპო და მათის წყალობით ბევრი ძროხა და ცხვარი სადღება. მეორე საქმე იმაშია, რომ ამის წინათ სურამის ადგილის ჯარის უფროსმა სურამელებს სთხოვა, რომ სადგომი სახლი მიეცათ ჯარისათვის, სურამელებმა უარი უთხრეს სახლი არ არისო. იმათ ჯავრზე ჯარის უფროსმა დღეს დაარიგა სახლის თავზე ორ-ორი სალდათი, რომელთაც უნდა ბინა ჰქონდეთ მცხოვრებთა ცოლ-შვილში... სურამელებს ეს არ ეჭაშნიკათ და ამაზეც დაიწყეს ყაყანი.

პრისტავმა უბძანა ხალხს წასულიყვნენ საყდრებში და დაეფიცნათ, რომ სინიდისით აღმოირჩევენ ნაცვალს. ხალხი წავიდა. ორი საათის შემდეგ კიდევ განაახლეს სურამელებმა ყრილობა. ყველანი ნაფიცნი და სინიდისის განახლებულნი მოვიდნენ დანიშნულ ალაგას და ჰყარეს კენჭი ორ კაცზე რომლებიც იყვნენ დანიშნულნი ამოსარჩევად მამასახლისის თანამდებობისათვის ერთი სომეხი იყო და მეორე ქართველი. ურიებმა ბევრი იღრიალეს და იძახეს: რჯულის მადლმა ე ჩვენც ადამიანები ვართ ე — ჩვენგანაც ერთი იყოს ე. მაგრამ იმათ ტიტინს არავინ ყური არ ათხოვა. კენჭებმა ქართველი გააშავეს, სომეხი კი იქმნა აღმორჩეული მამასახლისად.

ბავრელი.

---

## გაკვრით

ჩვენ შევიტყეთ, უფ. რედაქტორო, რომ ამას წინად თუშ-ფშავ-ხევსურეთის მღვდლებსა ჰქონიათ კრება შესახებ შკოლების საქმისა (არ ვიცი ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადობის წინადადებითა და ნება-რთვითა, თუ თავიანთის ნებითა) თიანეთის მაზრაში. ამასა გვწერს თვით ერთი წევრთაგანი ამა კრებისა. კრება ესე არის ღირს-შესანიშნავი, როგორც მით, ვისგანაც იყო შემდგარი, ისე იმითაც რა ნაყოფიც გამოიღო. წარმოიდგინეთ, ისეთს ძნელსა დართულ საგნებზედ, როგორიც არის ხალხის განათლება და ნამეტნავად მისთვის ღონისძიების მოპოება, ისიც ისეთს ალაგასა, როგორც ფშავ-ხევსურეთია და თუშეთია, შეკრებულან წ. მამანი, რომ გადასწყვიტონ, თუ რა ღონისძიებით უნდა მოხერხდეს ეს საქმე, წ. მამანი მეთქი, რომელთა შორის ძვირად მოიპოვება სულ სამიოდე, რომ მიეღოთ სწავლა სასულიერო სემინარიაში მაინცა, წ. მამანი, რომელთა უმრავლესობა არის ნასწავლი ან მონასტერში, და ან შინა, სადაც მარტო ჟამნდავითნის უგზო-უკვლოთ ღიჯვნა და ცოტ-ოდენი ბლაჯვნა შეადგენს ალფას და ომეღას იმათ განათლებისასა! აი ესეთი გვამნი შეკრებილან ამას წინად, რომ გადასწყვიტონ ბედი და უბედობა განათლების გავრცელებისა ფშავ-თუშეთ-ხევსურეთში, სადაც ამა საგნის დადგენა და განვითარება უფრო ძნელია, ვიდრე სხვაგან საქართველოში. მე ვამბობ, რომ ეს საგანი, (თუ როგორ უნდა გავრცელდეს აქ განათლება) არის ძრიელ ძნელი მეთქი მით უფრო, რომ, როგორც იყო ნათქვამი „ივერიის“ მე-31 №-ში, აქ ხალხი ისე არის გაფანტული, რომ ძრიელ იშვიათია ისეთი სოფელი, რომელიც თავის მცხოვრებლების სიმრავლით აძლევდეს კაცს ნებას შკოლის გამართვისას. მეორეც ესე, რომ სოფლები ძრიელ ახლო არ არიან ერთმანეთზედა, და ამ მიზეზით სხვა და სხვა სოფლებიდგან ერთს რომელსამე სოფელში ვერ ივლიან უმაწვილები სასწავლებლად. საუბედუროდ ამ ძრიელ უბრალო გარემოების გაგება არ უნებებიათ ამ ჩვენს მღვდლებსა. თურმე რამდენადაც კაცი უფრო სუსტი და ჭლექი ყოფილა გონებითა, იმდენად უფრო გაბედვით მოუკიდნია ხოლმე ხელი იმისთანა საქმისათვის, რომლის გაკეთებაც შეუძლებელი საქმეა იმისის სუსტის გონებისათვისა. არ უნებებიათ ამ უბრალო გარემოებების გაგება და გადაუწყვეტნიათ კიდეც საქმე ძრიელ გონივრულად! ჩვენს კეთილ-გონიერსა და გონებით გამჭრიახე კრებასა დიდის გულისხმიერებით დაუნახავს საჭიროდ, რომ ერ-

წოში დაიკეტოს რამდენიმე სასწავლებელი ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისა და იმათ მაგივრათ გაიმართოს თუშეთში და ხევსურეთში. საკვირველიც არ არის, რომ ამისთანა კრებას ამისთანა გამჭრიახობა გამოუჩენია. „მსგავსი ყველაი მსგავსსა ჰშობს, ესრე ბრძენთაგან თქმულია“-ო ამბობს ჩვენი უკვდავი რუსთველი. ეხლა ვკითხავ ამ ხალხის განათლების მომჭირნეს კრებასა: რა დააშავეს საწყალმა ერწოელებმა, რომ იმათ დაუკეტონ შკოლები, რომ იმათ გამოართონ ლუკმა პირიდანა, და მისცენ სხვასა? ან სად უფრო საჭიროებს ეხლა ხალხი განათლებასა, ერწოში, თუ თუშეთში და ხევსურეთში? აბა თქვენი ჭირიმეთ, რა თავში მოსასვლელია კაცმა დაკეტოს შკოლები იქ, სადაც ხალხს უფრო ძლიერ ესმის განათლების მნიშვნელობა და იმათ მაგივრათ გახსნას შკოლები იქა,—სადაც ხალხს უფრო სუსტათ ესმის და სუსტათა აქვს გაღვიძებული სწავლის სურვილი. ან აქვს ქრისტიანობის აღმადგინებელს საზოგადოებას იმდენი ღონისძიება, რომ გამართოს ისეთი შკოლები, რომლებიც გამოადგება თუშებსა და ხევსურეთის ალაგებსა? მე ამითი ის უნდა ვსთქვა, რომ რადგანაც დიდი სოფლები არ არის აქ, და წვრილ-წვრილი სოფლებიც ერთმანეთზედ მოშორებულნი არიან, ამის გამო აქ იმისთანა შკოლა ვერ გამოდგება, რომ ყმაწვილებმა მარტო სწავლისათვის იარონ. აქაური შკოლა უნდა იყოს ისეთი, რომ შეგირდები სცხოვრებდნენ, შიგ შკოლაშივე. მარტო ეს ადგილობრივი გარემოება საკმარია, რომ დავინახოთ, თუ რავდენად წინდაუხედავია თუშ-ფშავ-ხევსურეთის მღვდლების კრების გარდაწყვეტილება და რავდენათ მავნებელი იქნება, უკეთუ ეს გარდაწყვეტილება იქნება მოყვანილი აღსრულებაში.

ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ შემეტყო ამ კრების სხვა დასკვნანიცა, მაგრამ საუბედუროდ მე შევიტყე მარტო ერთი. ვინ იცის, რამდენი ღირს-შესანიშნავი აზრი წარმოითქვა ამ ღირს-შესანიშნავს კრებაში? ვინ იცის რამდენჯერ დაამთქნარებდნენ ამისი „პატივ-საცემი და პატივ-ცემულნი წევრნი“ და ზედ პირ-ჯვარს დააყოლებდნენ? ეჰ, რა საჭიროა ამაზედ ლაპარაკი!

მღვდლების გარდაწყვეტილებას აღსრულებაში მოყვანა მით უფრო მიგვაჩნია მავნებლად, რომ ისინი როგორც მე მტკიცეთ ვარ დარწმუნებული, უფრო ბევრს ავნებენ ხალხსა, მანამ სარგებლობას მოუტანენ. თუ რისთვისა ვამბობ მე ამასა, სხვა დროს უფრო ვრცლად მოვილაპარაკებ, როცა მოვიცლი. მხოლოდ ეხლა კი ვისურვებდი, რომ ისეთმა პირებმა არ მოჰკიდონ ხალხის განათლების საქმეს ხელი, რომელთაც ამ საქმეში არაფერი ესმით. „ქაჩალი თუ ექიმი იყოს, თავის თავს მოარჩენდაო“ ამბობს ერთი ანდაზა. მღვდლებს თუ შეეძლოთ შკოლის საქმის ხეირიანათ განსჯა და სრულიად ბრმები არ იყვნენ ამ საქმეებში, თავიანთ ერთადერთის მრთელს კახეთში სასწავლებელის (თელავის სასულ. სასწავ.) ზრუნვაზედ გამოუჩნდებოდათ! „უკეთუ ბრმა ბრმას წინაუძღოდეს, ორნივე მთხრებლსა შთაცვიანო,“ მოგვითხრობს წმინდა სახარება.

დ. რ.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.** აი დეპუტატთა პალატის წევრთა არჩევანიც გათავდა, დეპარტამენტებისაც, ყველგან რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს, ყველგან და ყოველის ფერში საფრანგეთის ხალხმა საქვეყნოდ აღიარა, რომ ჩვენ მარტო სარესპუბლიკო პოლიტიკა გვინდაო, მაგრამ მაინც ქვეყანას იმედი გაუმტყუნდა. მთელი ქვეყანა ჰფიქრობდა, თუ ასე მოხდებაო, მაკ-მაჰონი ან უნდა გადადგესო და ანუ გულწრფელად და გულ ახდილად უნდა მიეცესო რესპუბლიკელთ მიმართულებასაო. საქმე ისე გათავდა როგორც ელოდნენ, მაგრამ ისე კი არ დაგვირგვინდა როგორიც იმედი ჰქონდათ: მაკ-მაჰონი თავისთვის ბძანდება პრეზიდენტის ტახტზედ და ამბობს: არც ამ ტახტიდამ ჩამოვალო და არც ხალხის ნებაზედ გავივლიო.

პალატიც გაიმართა, პალატმა აშკარად გამოჰსთქვა თვისი სამდურავი და უკმაყოფილება მაკ-მაჰონის და მის ამქრის პოლიტიკაზედ; მთელს სამინისტროზედ გამოძიება დანიშნეს შეწამებულთა ბოროტ-მოქმედების გამოსაკვლევად, მაგრამ მაინც არც მაკ-მაჰონი და არც მისი სამინისტრო ამაზედ ყურსაც არ იბღერტავს. თუ თქვენ არ მოგწონვართო, ეუბნებიან ეს ვაჟბატონები პალატს, სხვას მოვსწონვართო. ის სხვა კიდევ სენატია, რომელ-

შიაც მომეტებული წევრი უფრო მაკ-მაჰონისაკენ არის. ეს ცხადად დამტკიცდა მით, რომ 7 ნოემბრიდამ ტფილისში მოვიდა ამბავი, რომ სენატის უმრავლესობა თითქმის მიემხრო მაკ-მაჰონს და მის სამინისტროსა. ამ სახით ამ ორთა უმაღლესთა გამგებელთა სახელმწიფო საქმისათა, სახელდობრ პალატს და სენატს, შეიძლება ერთმანეთში განხეთქილება მოუვიდეთ და რით გათავდება ეს განხეთქილება—ეს ღმერთმა უწყის და იმათ ვისი სინიდისიც ხალხის სურვილს ეურჩება და ბოროტმოქმედობს.

ამ ბოლოს დროს ამბავი მოვიდა, რომ მაკ-მაჰონი გამოსალმებია ადრინდელს სამინისტროს და ახალი სამინისტრო შეუდგენია. ახალის სამინისტროს წევრთა წაუკითხავთ პალატის წინაშე წინადადება თვისი და აუხსნიათ რა პოლიტიკასაც მიჰყვებიან. ამ წინადადებაში მოხსენებულია, რომ ახალი სამინისტრო ეცდებაო აწინდელის რესპუბლიკის წყობილება ყოველფერში დაიცვასო და სხვას იძულებულ ჰყოს პატივი ჰსცესო ამ ძირეულს კანონს სახელმწიფოისასაო. პალატას გამოუცხადებია, რომ იგი არავითარს საქმეს არ დაიჭერს ამ ახალს სამინისტროსთანაო.

ცუდად ირევა საფრანგეთის საქმე და აირევა კიდეც თუ მალე ბოლო რითიმე არ მოეღო ამ უწესოებას რომელიც შინ აშინებს საფრანგეთს და გარედ კიდე მშვიდობის მოსურნეს ევროპასა.

—

**ინგლისი.** ინგლისში ყარსის აღებაზედ სწორედ ყალხზედ შემდგარან მწუხარებისაგან ოსმალთა კეთილმყოფელნი გვამნი. მით უფრო უნდა იყოს შეწუხებული ის ინგლისელი, რომელსაც ოსმალოსათვის გული შეჰსტკივა, რომ ევროპამ ინგლისს თითქმის ზურგი აჩვენა, როცა იგი ცდილობდა ევროპა დაეყოლიებინა და თვით მიემხრო რუსეთის წინააღმდეგ. ინგლისი, როგორც გვარწმუნებენ გაზეთები ნამეტნავად რუსისანი, ეხლა სრულიად განმარტოებულია და მაშასადამე რუსეთისათვის საშიშიც არ არისო. თუ ასეა, ლორდ ბიკონსფილდის პოლიტიკას და მეცადინეობას დიდი მარცხი მოსვლია. ამ მარცხს ინგლისის ხალხი, რასაკვირველია, ითაკილებს და იქნება ამის გამოც ხმა გავარდა ლორდ ბიკონსფილდის პირველ მინისტრობიდამ გადაგომაზედა. ტელეგრამმა ამბობს ჯერ ეს ხმა სარწმუნო არ არისო.

ლორდს გლადსტონს, ლიბერალთა დასის მეთაურს სიტყვა წარმოუთქვამს და მოუხსენებია, რომ ვიდრე ჩვენი სამინისტრო „სათუო ნეიტრალიტეტზედ“ იდგებაო, ლიბერალთა დასიცა „სათუო“ მშვიდობიანობას ეცდებაო.

—

**ოსმალეთი.** ოსმალეთი, როგორც ეტყობა იმედს მაინც არ ჰკარგავს და თუმცა ასეთი საგრძნობელი მარცხი მოუვიდა მცირე აზიაში, თუ ევროპაში, მაგრამ მაინც დაუძინებელს მეცადინეობაშია იმოდენა ძალი შეიკრიბოს, რომ ომის ბედი თავისკენ მოატრიალოს და თუ ეს არ მოხდა, ომი გაუსწოროს მაინცა რუსეთსა. დაჰსდგომიან ხონთქარს გაშალოს წმინდა დროშა მაჰმადისა, მაგრამ ხონთქარი ჯერ ამაზედ უარს ამბობს და არჩევს თვით ჩაჰხვდეს რაზმში და ლაშქარს უწინამძღვანოს. თუმცა ესეა, მაგრამ შიგ სტამბოლში კი დიდი ჩოჩქოლია თურმე და დიდი უკმაყოფილებაა საქმეთ მიმდინარეობის გამო. აი რას იწერება ინგლისის გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი სტამბოლიდამ სტამბოლის აწინდელს მდგომარეობაზედ: „ძნელია კაცმა გამოიცნოს მიზეზი მისი თუ რისგან არის ასე დაფეთებული სტამბოლი და რომ დაფეთებულია,—ეს კი უეჭველია. წარსულს კვირას სტამბოლის ქუჩებზედ გაკრული იყო პროკლამაცია, რომელიც იწვევდა ყოველს მამულის მოყვარეს მთავრობის წინააღმდეგ ხელის გამოღებისათვის; ბრალსა ჰსდებდა მთავრობას ვითომც მან ბძანება მიჰსცაო გენერლებს რუსებს ძალიან ნუ გამოიმეტებთო, რუსეთთან იდუმალი ლაპარაკი აქვსო, რომ ჩვენთვის საუბედურო შერიგება ჩამოაგდოსო; ამაზედ თავის დღეში თანახმა არ გახდება ოსმალოს ხალხიო და ყოველის ჩვენგანის მოვალეობა არისო ვიომოთ უკანასკნელ განწირულებამდე და განვდევნოთო მტერი ჩვენის საზღვრებიდამაო.“ თუო, ჰწერია ბოლოს: ჩვენდა სასარგებლო შერიგება არ მოხდებაო, თუო მაღალი ღმერთი ჩვენზედ ხელს აიღებსო, მაშინ ჯერ მოვაკვდინოთ საძაგელი მაჰმად-დამათიო (სიძეა ხონთქარისა და ამასთანავე დიდი შინა კაციც) და მერე ჩვენ თვითონ დავიხოცნოთო“. ამბობენ რომ ეს ამბავი შეთქმულობის საქმეაო. ეხლანდელი ხონთქარი არ მოჰსწონს ხალხსა, ამის გადაყენება უნდათ და ამის ძმის მურადის ხელახლად აყვანა სულთანის ტახტზედ ჰფიქრობენო.

თუმცა ომის მომხრეთა დასი ძლიერია სტამბოლში ჯერ კიდევ, მაგრამ შერიგების სურვილი დღე და დღე უფრო მატულობსო.

## ომის ამბები.

ყარსის აღების შემდეგ ჩვენს კავკასიის ლაშქარს ოსმალოსთან ომი აღარ ჰქონია გარდა ამისა, რომ გაზეთის «Кавказъ»-ის კორრესპონდენტის სიტყვით, ყარსიდამ გაქცეულის მეციხოვნე ჯარისათვის ჩვენებს გზა გადუჭრიათ ოლთისკენ. სხვა ამას გარდა შესანიშნავი რამ მცირე აზიაში არა მომხდარა რა ჯერ ხანად. დუნაიზედ კი მაინც ყოველი კაცის ყურადღება პლევნაზედ არის მიქცეული. რუსნი უფრო და უფრო მჭიდროდ გარს ერტყმიან და სულ იმის ცდაში არიან, რომ არც ოსმან-ფაშა გამოუშვან ჯარით პლევნიდამ და არც ვინ შეუშვან მის მისაშველებლად. რუსებმა ბევრგან, სადაც კი პლევნის გარეშემო შესვდნენ, დაამარცხეს ოსმალნი, ბევრი სიმაგრეები წაართვეს და თვით დაიჭირეს იმისთანა ადგილები, რომ ოსმან-ფაშას წასასვლელი გზა შეუკრან.

გაზეთის «Голосъ»-ს ვენიდამ 13 ნოემბერს ცნობა მოსვლია, რომ ვითომ რუმინიის მთავარს კაროლოსს ლაპარაკი დაუწყვია ოსმან-ფაშასთვის იარაღი დააწყეო. ოსმან-ფაშას შეუთვლია, რომ მე ამაზედ საუბარს დავუწყობ სხვას ვისაც უნდა იყოს რუსის ღენერალსაო და შენ კი არაო და პირობათ ამასა ვდებო, რომ რუმინიის ჯარი აქედამ წავიდესო და ჩემს ნიზამის ჯარსაო თავისუფალი გზა მიეცეს, სადაც უნდა იქ წავიდესო. რუსის მხედრობის მთავარ-სარდალი ამაზედ თანახმა არ გამხდარა და შეუთვლია მარტო აფიცრებს თავისუფლებას მივცემო და პატიოსანს სიტყვას კი ჩამოვართმევთ, რომ არსად არ წავლენო. ხონთქარი არა ნდომულობსო ევროპის შუამდგომელობას შერიგებისათვის და სულ იმაზედ დგასო, რომ პირ-და-პირ უშუამავლოდ რუსთ ხელმწიფეს სიტყვა ჩამოუგდოს ამ საგანზედაო.

## წერილები პეტერბურღიდგან

### წერილი მეორე

ამ ათი-თორმეტის წლის განმავლობაში, თითქმის მას აქეთ რაც რუსეთი განახლდა, მას აქეთ რაც მას ახალი ტალღა მოედო და გაიტაცა მისი უწინდელი უმსგავსობა და უხეირობა, რუსეთის ცხოვრებაზედ დატრიალდა რაღაცა შავი ნისლი და დააწვა სულდა. ეს გასაოცარი მოვლენა ისე მტკიცედ დაეტყო საზოგადოებას და მწერლობას, რომ ყოველი კაცი აშკარად გრძნობდა მის არსებობას. გასაოცარი მეთქი რადგანაც განახლებულს ცხოვრებას არამც თუ სულდა არ უნდა აეშლევინებინა, არამედ მხნეობა, ძალა და სასოება უნდა მოემატებინა საზოგადოებისათვის. მაშ თუ ასე არ მოხდა, თუ ცვლილებამ ასეთი უკუღმართი ზედმოქმედება იქონია ცხოვრებაზედ, ჰგავს მძიმე და შესანიშნავი მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ არა-ჩვეულებრივის მოვლენის წარმოებისათვის. იყო კიდეც.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია რუსეთის ახალის დროის ცხოვრებისათვის, ან დასწრებია იმ მოძრაობას, რომელიც დაეტყო საზოგადოებას ყირიმის ომიანობის შემდეგ, კარგად ესსომება ის აღტაცება, გულის მგერა, ცხოველი იმედი და სასოება, რომლითაც აღსავსე იყო როგორც კერძო გვამი, აგრეთვე მთელი საზოგადოება. არავითარი კუთხე არ მოიპოვებოდა, სადაც ეს ახალი მოძრაობა ცხადი და საგრძნობელი არ ყოფილიყო ყველასთვის. ამ მოძრაობას თავს ედგა ცხოველი მწერლობა, რომლის მოღვაწეთ მაღლა ეჭირათ განვითარების და წარმატების დროშა. საზოგადოება ენდობოდა ჟურნალ-გაზეთობას; ლიტერატურასაც ჰქონდა გულწრფელი სიყვარული საზოგადოებისადმი, და ამ გვარად მხურვალედ, ხელი-ხელს გაყრილნი შეუდგნენ ახალს გაკაფულს გზას. გლეხების განთავისუფლება და მათის ცხოვრების ახალი გაწყობილება; საზოგადოების საქმეთა თვით განჩინება, ახალი საჯარო სამართალი—აი ის ახალი ნიადაგი, რომლის შემუშავებისათვის გამოწვეული იყო ყოველი მომქმედი ძალა როგორც კერძო გვამისა, აგრეთვე მთელის საზოგადოებისა. „ნუ თუ ეხლაც იტყვით,—ეუბნებოდა მწერლობა თვის მკითხველს,—რომ საქმე არა გვაქვსო? ნუ თუ ეხლაც გულ-ხელ დაკრეფილი მიეცემით შენს ჩვეულებრივს ოხვრას და კვნესას? დასაძრახისია ცუდათ ჯდომაო ამ ჟამად, როდესაც და სხვ.

აი გავიდა ხანი და ახალს მოძრაობას თითქო რაღაცა საწამლავი ჩაჰყვა. მართალია ცხოვრებამ ფერი იცვალა, მაგრამ მისი შინაგანი თითქო იგივე დარჩა. განახლებას თან მოჰყვა ის მოვლენა, რომელიც აუცილებელი შედეგია ყოველ გაწყვეტილის იმედისა და ტყუილ-უბრალო ლოდინისა. ყველასთვის სასიქადულო ახალი

გამოვიდა რაღაც გისერ-მოგრეხილი და ფრთა-მოკვეთილი. „რას მოველოდით და რა გამოვიდაო, ფიქრობდნენ მოძრაობის უკეთესნი მოღვაწენი. ნუ თუ ეს იყო ჩვენი იმედი, ჩვენი გულის წადილი? სად არის ის საყოველთაო ბედნიერება, ის უანგარო სიყვარული მოძმეთადმი, ის გულწრფელი სამსახური საზოგადოებისა და ხალხისათვის, რომელნიც წარწერილნი იყვნენ მოწინავე აზრის დროშაზედ? მის მაგიერ ახალმა ნიადაგმა აღმოაცენა იგივე ავ-მეცლობა, იგივე გულ-გრილობა, იგივე ზრუნვა მხოლოდ თავის თავისათვის და არა თვის მოძმეთათვის, იგივე საყოველთაო სიგლახავე, საყოველთაო უმეცრება და ზნეობითი უსინათლობა. ნუ თუ გაქრა ის მნათობი, რომელიც გზას უჩვენებდა საზოგადოებას და მოასწავებდა მის მომავალს?“ მართლაც და გასაოცარი რამ მოხდა. კაცს თითქო მიეცა რასაც თხოულობდა, მაგრამ არამც თუ კმაყოფილი არ დარჩა, არამედ თითქო შერცხვა კიდეც. თითქო გაელო კაცს იმ ტაძრის კარი, რომელსაც ისე გულწრფელად აკაკუნებდა, მაგრამ ბედნიერება კი ვერ ჰპოვა.

ერთის სიტყვით გაქარწყლებულმა იმედმა, მოტყუებულმა გულის წადილმა დაბადა ის სევდა და ნისლი, რომელიც მოაწვა ცხოვრებას ამ უკანასკნელს დროს. მიძინებულს საზოგადოებაში, დადუნებულ ცხოვრებაში თითქო არსაიდგან არ მოჩანდა შველა, სანუგეშო ნაპერწკალი უკეთესის მომავლისა. ამ გვარ გარემოებაში უცბათ გავარდა ხმა ჩაგრულთა სლავიანების განთავისუფლებისა. ადვილად წარმოსადგენია თუ რა გვარი შთაბეჭდილება უნდა ჰქონოდა ამ საქმეს იმ გვარ საზოგადოებაში და ცხოვრებაში, რომელიც ზემოდ მოგახსენეთ. მართალია ეს გარედამ შემოსული მოძრაობა ჯერჯერობით არავითარ არ სცვლიდა შინაურობას, შინაგან განწყობილებას და ცხოვრებას. მაგრამ ცოტაოდენადაც რომ გაენათა გარემომარტყმული სიბნელე და მცირე სიცოცხლეც რომ ჩაებერა დადუნებულს გულში—ისიც საკმაო იყო. უანგარო სიყვარული, უანგარო მიდრეკილება ჩაგრულის სიკეთისადმი საზოგადოდ ძვირფასი და სასიკეთოა ვინც უნდა იყვნენ ეს ჩაგრულნი, ჩვენები თუ სხვანი.

აღმოსავლეთის საქმე ბევრჯელ წამომდგარა, და აგრეთვე ბევრჯელ უომნია რუსეთს ოსმალეთთან. მაგრამ ეს წამოყენებულს საქმეს და აწინდელს ომიანობას ერთი ხასიათი სჭირს, რომელიც ისე მტკიცედ და აშკარად არ სუფევდა წარსულში. მე მოგახსენებთ ოსმალეთის სლავიანთა განთავისუფლებაზედ და მათი ბედის გაწყობილებაზედ. სლავიანების საშწუხარო მდგომარეობა ეს ორი წელიწადია იპყრობს საზოგადოებისა და მწერლობის ყურადღებას. იგივე საგანი წარწერილია აწინდელის ომიანობის დროშაზედ. აღმოსავლეთის საქმე გადიქცა სლავიანთა საქმედ. უწინ თუ რუსეთს უომნია ოსმალოთან, ამ ომის საგანი ყოფილა რომელიმე სახელმწიფოთ სარგებლობა. ეს ომიანობის საგნად საჯაროდ გამოცხადებულია მხოლოდ სლავიანთა განთავისუფლება. ღირს-შესანიშნავია დავხედოთ თუ როგორ დახვდა რუსული მწერლობა ამ საგანს, ე. ი. წამოყენებულს სლავიანთა საქმეს. მართალია, რუსული მწერლობა იმ გვარ მდგომარეობაში არ არის, რომ გულ-წრფელი და ნამდვილი გამოხატვა შეეძლოს ყოველგვარის აზრისა და მიმართულებისა, რომელიც კი დასტრიალებს საზოგადოებას. მაგრამ მაინც ცოტად თუ ბევრად, პირდაპირ თუ გადაკვრით, თუ საზოგადოებისა არა, თვით მწერალთა (რომელნიც, უნდა ვიფიქროთ მოწინავე გვამნი არიან) აზრი და მიმართულება ხომ ისატება. ესეც ღირს-საცნობია. ომიანობის წინედ რუსულს მწერლობაში წარმოთქმულ იქმნა ორგვარი აზრი და შეხედულობა სლავიანების განთავისუფლების შესახებ. ზოგნი იმ აზრზედ იდგნენ, რომ სლავიანების საქმე თუმცა ახლო ეხება რუსეთსაო, მაგრამ მაინც მისთვის გარეშე საქმეა და არა შინაგანიო. ოსმალეთის სლავიანთა მდგომარეობაო, ავია თუ კარგი, იმ გვარი საგანი არისო, რომელზედაც დამყარებული არ უნდა იყოს თვით რუსეთის ბედ-იღბალიო. მართალიაო სლავიანების მდგომარეობის შემსუბუქება საჭიროაო, მაგრამ ერთგვარად საჭიროაო, როგორც რუსეთისათვის აგრეთვე მთელ ევროპიისათვისაო. ჩვენ თვითონ ჩვენ შინაობაში ბევრი რამ გვაკლიაო და სხვებისათვის ზრუნვა ჯერ რა დროსიაო. ამ აზრისა და მიმართულების მოწინააღმდეგენი ამბობდნენ: სლავიანები თვის გვარტომობით ენათესავე-

ბიან რუსებსა, ერთის სისხლისა და ღვიძლისა არიანო; მაშასადამე მათი განთავისუფლება პირდაპირ რუსეთის მოვალეობაა და ყველაზედ უწინარეს რუსეთმა უნდა იკისროსო. ამ უკანასკნელებს ჰსურდათ ომი, და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ თვისის სურვილის გატანისათვის. სრულის ჭეშმარიტების დასაცველად აქვე უნდა მოვახსენოთ, რომ ამ უკანასკნელის აზრის მიმდევართა შორის ზოგნი ალალ-მართლად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ომიანობა უნაყოფოდ არ ჩაივლის თვით რუსეთის შინაგან ცხოვრებისათვისაც; ომიანობა, მეტადრე იმისთანა მაღალის განზრახვით, უსათუოდ გააღვიძებს და დასძრავს საზოგადოებასა და სიცოცხლეს მოუმატებს ცხოვრებასა. ზოგნი ამას მოელოდნენ სხვა და სხვა პირადის სარგებლობისათვის (როგორც ზოგიერთი გაზეთები ომს ქადაგობდნენ იმ იმედით გულში, რომ ხელის მომწერლები მოემატებაო)..... ასტყდა ომი ბედკრულთა დასაცველად. მისი მიმდინარეობა, რომელიც ჯერაც არ გათავებულა, კარგად მოგეხსენებათ. მოგეხსენებათ აგრეთვე ისიც თუ რა დაბრკოლება, რა განსაცდელი დაუხვდა წინ ამ საქმეს როგორც თვით მხედრობის შესახებ, აგრეთვე საპოლიტიკო მხრითაც. ახლა დავაკვირდეთ იმას თუ რა გამოჩნდა საქმის მიმდინარეობაში. *)

ბევრი რამ კი გამოჩნდა ღვთის წინაშე. დიდი თავში ცემა ისმოდა სლავიანებისათვის, სახელდობრ ბოლგარიელთათვის, ის კი არა თუ ამავე ბოლგარიელთა ჭეშმარიტი მდგომარეობა არავინ იცოდა. გამოჩნდა, რომ ბოლგარიელნი ისე მოშენებულნი და გაკეთებულნი არიან, რომ ერთის ინგლისის გაზეთის (რომელიც, უნდა მოგახსენოთ, რუსეთისა და სლავიანთა საქმის კეთილის მოსურნეა) კორრესპონდენტს შურიც მოუვიდა—ნეტავი ჩვენი გლეხებიც ამ ყოფაში იყვნენო, როგორშიაც ბოლგარიის გლეხები არიანო. ამავე კორრესპონდენტის სიტყვით რუსის აფიცრები დიდის განცვიფრებით შესცქეროდნენ მდიდარსა და კეთილ მდგომარეობით აყვავებულს ბოლგარიას. „იმათ, ამბობს კორრესპონდენტი, ეგონათ, რომ ბოლგარიის ხალხი არის დაჩაგრული და გლახა, რომელსაც მრავალი დაბრკოლება უდევს წინ თვისის სარწმუნოების აღიარებისათვის; რომელიც დაუდგრომელ შიშშია თავისის სიცოცხლისათვის და თავისის ცოლ-შვილის ნამუსისათვის. ახლა რაღა გამოჩნდა? ამბობენ რუსები. ბოლგარიელნი ძალიან კარგა ცხოვრობენ; რუსის გლეხი ფიქრშიაც ვერ შეედრება ბოლგარიელს სიმდიდრით და ცხოვრების მოწყობილობით. ამას მე ჩემის მხრით დავუმატებ, რომ დიდად განსარჩევი ინგლისის გლეხ-კაცობაც რომ ამ ყოფაში იყოს. ბოლგარიელთა პურის ბეღლები, ბლომად ავსებულნი დიდ მანძილზედ რიან დამწკრივებულნი. ყოველ სოფელში შეხვდებით მრავალ საქონელს, ცხენს, თხას და ცხვარს. სახლები სწორედ სასახლენი არიან მოლდავის და ვლახის გლეხის ქოხ-მახების შედარებით. შარშანდელი ჩალა ჯერაც არ არის მთლად ხმარებული ისე ბლომადა აქვთ. რძეს იყიდით ყოველ ოჯახში. სოფლებში თითო მეჩითზედ ექვსი საქრისტიანო ეკკლესია მოდის. ოქროს დახურდავება თეთრ ფულზედ ადვილია. ბოლგარიის გლეხი დიდის აღტაცებით არ მოეგებება თვის განთავისუფლებას, მეტადრე როდესაც მას აუცილებლივ თან მოსდევს მისის სახლის გადაწვა ან ყელის გამოწვა ბაშიბუზუკების მიერ." აი კიდევ რას ამბობს რუსის კორრესპონდენტი გაზეთის «Новое Время»: „რუსის აფიცრთა უმრავლესობა ძალიან გაკვირვებული იყო, როდესაც დაინახეს ბოლგარიაში აყვავებულნი სოფლები და საშუალოდ იმგვარი კეთილმდგომარეობა, რომელიც გულით სანატრელია ჩვენის გლეხისათვის. ხალხის დაცემაც ვერ ვჰპოვეთ; პირიქით, აქაური ხალხი (ე. ი. იმ სოფლის საიდგანაც იწერება კორრესპონდენტი) პატიოსნურად დაუხვდა რუსის ჯარს და არავითარი სულმდაბლობა არ გამოუჩენია. სხვათრივი სანახაობა ვნახე მხოლოდ სისტოვში, სადაც ყველა ჩვენ წინ შიშით თრთოდა". («Новое Время», № 510). აი კიდევ რას იწერება იგივე კორრესპონდენტი იმავე სოფლიდგან: „ჩვენ გვინდოდა შეგვეტყო თუ როგორა ცხოვრობდნენ ურთიერთ შორის ოსმალები და ბოლგარიელები, რადგანაც მესამედი ნაწილი ამ სოფლისა ოსმალოსია. ამაზედ ყველამ გვიპასუხა, რომ ჰსცხოვრობდნენ მეგობრულად და ყველანი ერთნაირად შეწუხებულნი იყვნენ მხოლოდ ჩერქეზებისაგან". ამ გვარი ცნობა მრავალი მოიპოვება აწინდელს რუსულს ჟურნალ-გაზეთობაში, რომელნიც საკმაოდ გვიჩვენებენ რა მდგომარეობაში იყვნენ ბოლგარიელნი ოსმალეთში.

*) ქვემო მოყვანილს რუსულის მწერლობის სიტყვითვე მოგახსენებთ. რუსული არაკ. «ЗАДНИМЪ УМОМЪ КРѢПОКЪ» ხშირად აწინდელს რუსულს ჟურნალ-გაზეთობაზედ არის გამოჭრილი.

აი კიდევ, მაგალითებრ, რას იწერება იგივე კორრესპონდენტი სწავლისა და სარწმუნოების შესახებ: „შვიდი წელიწადია მას აქეთ, რაც ეკკლესია აშენდა (სოფ. პავლოს, საიდგანაც იწერება კორრესპონდენტი) სისტოვის არქიერის ნება-რთვით, შკოლა კი დაარსდა უფრო ადრე მიდჰად-ფაშის თაოსნობით. ამ გამოჩენილმა კაცმა მტკიცე და კარგი სახელი დაიმკვიდრა როგორც პავლოს, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებში. ჩვენის სახლის პატრონის მოხუცებულმა დედამ გვიამბო, რომ მიდჰად-ფაშა ბევრჯელა ყოფილა სოფ. პავლოს და დიდხანსაც ულაპარაკნია მცხოვრებლებთან, და ყოველთვის აგონებდა თურმე ხალხს (ოსმალებს და ბოლგარიელებს) უსათუოდ შკოლა უნდა დაარსოთო და შვილები გაგზავნოთ სასწავლებლადაო. ჩვენ კიდევ ისე არ გვეჩიჩინებოდაო,—ამბობდა მოხუცებული დედა-კაცი,—როგორც ოსმალებს, რომელთაც ეუბნებოდა: რომ სწავლას არ დასდიოთო ვერც რუმინიელებს გამოუხვალთ ხელიდგან, ვერც ბოლგარიის გაჭრებსაო. ამის შემდეგ ოსმალებმა დაარსეს მედრესსე (შკოლა).

ამ გვარ ცნობათა თაობაზედ ერთი მწერალი *) ამბობს: ახლა მიბძანეთ მოიპოვება თუ არა კიდევ სადმე ევროპაში იმისთანა ქვეყანა, სადაც მცხოვრებნი, როგორც ქალაქისა, აგრეთვე სოფლისა იმ გვარ სიმდიდრეში და კმაყოფილებაში იყვნენ, როგორც ბოლგარიელნი და აგრეთვე თავისუფალნი და დამოუკიდებელნი იყვნენ თავის საგვარტომო (національный) მიდრეკილების წარმოებაში და განვითარებაში?—ყოვლად შესაძლებელია, რომ იმ მამა-პაპურ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფება ოსმალეთის ადმინისტრაცია და სამართალი (судъ), ბოლგარიაში ხშირად მოხდეს კერძო უსამართლობა, ძალადობა და უდიერობა; მაგრამ ნეტავი მიჩვენონ ევროპაში იმისთანა კეთილ-მოწყობილი ქვეყანა, სადაც ამ გვარი შემთხვევა არ დასტრიალებდეს დაბალის წოდების კაცებს, რომელნიც, ამასთანავე, მოკლებულნი არიან როგორც ბოლგარიელების კეთილმდგომარეობას, აგრეთვე იმ თავისუფლობას, რომელიც უპყრიათ ბოლგარიელებს იმ გარემოების ძალით, რომ მათზედ არავითარი საპოლიტიკო და საპოლიციო ზედამხედველობა არ სუფევს". ეს რას ჰნიშნავს? მაშ ბოლგარიელთა აჯანყება რაღა არის? ამაზედ მერე მოგახსენებთ და ამისათვის წინ გავიმძღვარებთ ამავე წერილ («Письма о войнѣ»). ეხლა კი განვაგრძოთ პირდაპირ ჩვენი საუბარი. ვჰსთქვათ ინგლისელს მიეტევება ბოლგარიელთა მდგომარეობის უცოდინრობა—იგი არც ნათესაობას იჩემებდა, არც გულში ცემა ჰქონდა. მაგრამ რუსული გაზეთი კი რომ თვის ნათესავს ვერ იცნობდნენ,—ეს კი ვერაფერია, სწორე მოგახსენოთ.

*) «Письма о войнѣ». «Отеч. Зап.» 1877, № 9.

---

## ბრძოლა რომის დასაპყრობლად

### კონსტანტინოპოლში.

(შემდეგი *).

„იუსტინიანეს" ახალქალაქში წითელს სასახლეში, ბელიზარის დარბაზში, იჯდა ბელიზარის ცოლი ანტონინა და თითქო სრული თვისი გონება მიეცა იმ ხელ-საქმისათვის, რომელიც ხელში ეჭირა. იგი ოქრომკედით ჰკერავდა დაფნის ფოთოლსა მანტიაზედ. იმ მანტიას უმზადებდებდა გმირს, ბელიზარის. მის ახლო პატარა ტაბლა იდგა, მრავალის ძვირფასის თვლებით მოჭედილი და იმ ტაბლაზედ იდვა წითელის მელნით დაწერილი მდიდრად მორთული წიგნი პროკოპისა სახელად „ბრძოლა ვანდალთა თანა". ამ წიგნში აწერილი იყო ერთი იმისთანა ომი ანტონინას ქრმისა, რომელიც ყველაზედ ბრწყინვალე და სახელოვანი იყო. ანტონინას ფეხთა წინ იწვა მშვენიერი დაშინაურებული ვეფხვი, რომელიც სპარსთა მეფეს ეჩუქებინა ბელიზარისათვის. ეს საჩუქარი მით უფრო ძვირფასი იყო, რომ საშინაოდ გაგეშა ვეფხვისა ძალიან ძნელია. ეს ლამაზი, დიდი და ღონიერი მხეცი ისევ გაგარეველდებოდა ხოლმე, როცა სანადიროდ წაიყვანდნენ და ამიტომაც ბელიზარიმ მის სანადიროდ წაყვანაზედ ხელი აიღო. ვეფხვი დიდის ქეიფით გაშოტვილიყო, როგორც კატა, ანტონინას კაბის კალთაზედ, ეთამაშებოდა ოქრომკედის გორგალს, იქნევდა კუდს და თავის მრგვალს და ღონიერს თავს თავის ქალბატონის ფეხებზედ წაუს-წამოუსვამდა ხოლმე.

*) ივერ. № № 12, 21, 22, 23, 24, 28, 32, 35 და 36.

მოახლემ მოახსენა ანტონინას სტუმრის მოსვლა. იგი მოვიდა, ჰსთქვა მოახლემ: უბრალოს საკაცითა, თავიდამ ფეხამდე წამოსასხამშია გახვეული. ჯერ უთხრეს რომ ბატონი შინ არ არის, და ქალბატონი კი, როცა ბატონი შინ არის, არავის მიიღებს ხოლმეო. მაგრამ, დაუმატა მოახლემ: იგი თავიდამ ვერ მოიშორეს. ბოლოს გვიბძანა, შენ მოგახსენოთ, რომ ცეტეგს შენთან სალაპარაკო რამ აქვსო.

— ჩქარა მოიწვიე, დაიძახა ანტონინამ.

ანტონინას მოაგონდა, როცა ცეტეგი პირველად ენახა იტალიაში; მოაგონდა რომ იმ პირველ ნახვაშივე ცეტეგმა თავი მოაწონა, მოაგონდა რამდენიმე შემთხვევა, საცა ცეტეგმა საკვირველი სიკეთე და ქველობა გამოიჩინა და თავისი უკეთესობა არ აგრძნობინა ბელიზარის. ჯერ კიდევ ანტონინა ამ ფიქრებიდამ გამოსული არ იყო, რომ ცეტეგის ფეხის ხმაც მოესმა. ანტონინა მსწრაფლ ფეხზე წამოდგა. ამ უეცარს ქცევაზედ ვეფხვიც წამოდგა, აილუურსა, მრისხანებით მიაპყრა თვალნი ფარდასა, ყრუდ მოჰყვა ღრინვასა და ყვითელი კბილები წამოყარა.

ფარდა გადიწია და მუნით გამოჩნდა რიდე მოხვეული თავი ცეტეგისა. შე'მინდა ვეფხვი, თუ მოაგონდა, რომ რიდე მოხვეულნი კაცნი ჰსწურთვნიდნენ მას სპარსეთში—უფრო აილუურსა, მოემზადა გადასახტომად, კამარა შეჰკრა, კუდის ქნევა აუჩქარა და პირიდამ ქაფი წამოუვიდა. ანტონინას ელდა ეცა და ისე ელდა ცემული დაჰყურებდა ვეფხვსა.

— გაექე, გაექე, ცეტეგ! დაიძახა ანტონინამ.

ცეტეგს რომ დაეჯერებინა, სწორედ დაიღუპებოდა, იმიტომ რომ მის და მხეცის შორის ერთი კარიც არ იყო, რომ გასვლის შემდეგ მიეკეტნა, ყველგან კარის მაგიერ ფარდები ეკიდა. ხოლო ცეტეგი თამამად და სისწრაფით შემოვიდა ოთახში, და თვალი კი არ მოაშორა ვეფხვს; ხელით რაღაც ანიშნა და გაიძრო ხანჯალი: „დაწე, დაწე, შენ გახურებულო რკინავ!" უთხრა მან სპარსულად და თვით მიიწია ვეფხვზედ. მხეცმა დაიღმუილა, მაგრამ კამარისათვის შეკრული ძარღვები მოეშვნენ. შიშით აკანკალდა ვეფხვი, ცოცვით მივიდა ცეტეგთან და მარცხენა ფეხს ლოკვა დაუწყო. ცეტეგმა მარჯვენა ფეხი დაადგა ვეფხვს მარცხენა ფეხზედ. ანტონინა გაოცებით უყურებდა ამ სანახავსა.

— „დარეიოსი-შენთა ფერხთა წინაშეა! ჰსთქვა ანტონინამ. მაგას თავის დღეში ეგ არ უქმნია. კინაღამ არ გაათრდა, როცა ბელიზარიმ მოინდომა ეგ ექმნევინებინა. სად გისწავლია, ცეტეგ, ეგ ოსტატობა?

— რასაკვირველია, სპარსეთში, მიუგო ცეტეგმა. ამის თქმაზედ ასე ძალიან დააჭირა ფეხი შეშინებულ ვეფხვს წელზედ, რომ ვეფხვმა ტკივილისაგამო დაიღმუილა, წავიდა და შორს ოთახის კუთხეში მიწვა, ხოლო ცეტეგს კი თვალს არ აშორებდა.

— ბელიზარიმ მარტო სპარსთა ციხეების დამორჩილება იცის, ჰსთქვა ცეტეგმა: მაგრამ სპარსთა ენა კი ვერ დაიმორჩილა. ამ ცოფიანებს კი ბერძნული არ ესმისთ. შენ კარგი გუშაგი გიდგა, როცა ბელიზარი შინ არ არის, განაგრძო ცეტეგმა და ჩააგო ხანჯალი.

— რამ მოგიყვანა ჩემთან? ჰკითხა ანტონინამ ჯერ აქამომდე არ დამშვიდებულმა მღელვარებისაგან.

— ეგრე ხშირად უარ-ყოფილმა მეგობრობამ. შენი ქმარი უნდა გადავარჩინოთ განსაცდელს: მას თუმცა ვაჟ-კაცობა ლომისა აქვს, მაგრამ მოხერხება კი თაგვისაც არა აქვს. ბელიზარის თავს დიდი უბედურება მოდის, საჭიროა იმ უბედურებიდამ დავიხსნათ. მოწყალება იმპერატორის.....

— ხმალია, მე ეგ კარგად ვიცი. მაშ სამსახური და ღვაწლი ბელიზარისა.....

— სწორედ ეგ ღვაწლი და სამსახური ღუპვენ კიდეც ბელიზარის. იუსტინიანეს შენის ქრმისა ეშინიან.

— ეგ არა ერთხელ და არა ორჯელ შეგვიმცნევია ჩვენ თვითონ.

— მაშ იცოდე შენ პირველმან ის, რაც კაცის კაცთა გარე არა ვინ იცის—იმპერატორმა დღეს ომი ბძანა გოთთა წინაამდეგ.

— ცეტევს! დაიძახა ანტონინამ და სახე სიხარულით გაუნათლდა.

— ეგ კარგი, მაგრამ საწყენი იცი რა არის? ის არის, რომ ბელიზარი არ გაუძღვება ჯარს.

— მაშ ვინა? ჰკითხა მრისხანედ ანტონინამ.

— ორში ერთი მე ვარ დანიშნული.

ანტონინამ ეჭვით შეხედა ცეტეგს.

— დიალ, მე დიდიხანია მაგას ვცდილობდი. მეორე იქმნება არეობინდი, ხოლო ამ ადამიანის ჩრდილთან ერთად მე ვერას გავხდები, მე არ შემიძლიან გამარჯვების იმედი ვიქონიო. მარტო ბელიზარის შეუძლიან გოთთა დამარცხება. ამის გამო ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმარო, რომ ბელიზარი ჩემთან იყოს, თუნდა ჩემს უფროსად, მთავარ-სარდლად. ყური მიგდე, ანტონინავ, მე ჩემს თავს ვხადი პირველ სახელმწიფო კაცად.

— ჩემი ბელიზარი გმირია, იგი სახელმწიფო კაცი არ არის, ჰსთქვა თავ-მოწონებით ანტონინამ

— სასაცილო იქნება, განაგრძო ცეტეგმა: მე შემადარონ ვინმემ მასთან, ვინც ძლევით იმოსა, დაამარცხა ვანდალნი, სპარსნი და გოთნი. მე პირ-და-პირ გეტყვი: მე წინ მიძღვის განა მარტო სიკეთე ბელიზარისა, არამედ ჩემი საკუთარი სარგებლობაცა. მე იგი უნდა მყვანდეს ამხანაგად ამ ომშია გოთთა წინააღმდეგ.

— ეგ აშკარაა, ჰსთქვა უმზაკვროდ ანტონინამ.

— ხოლო ძნელია რომ იუსტინიანე მაგაზედ დავიყაბულოთ. იუსტინიანე ეხლა ისეთის ეჭვით უყურებს ბელიზარის, რომ თავის დღეში ესე არ უყურებია.

— რათა, ღმერთო ჩემო?

— თუმცა ბელიზარი დამნაშავე არაშია, მაგრამ მეტად გაუფხილებელია. აი ეს რამდენიმე თვეა, რაც ბელიზარის მოსდის ბარათები და წერილები, რომლითაც იწვევენ მას შეთქმულობაში მონაწილეობა მიიღოს. მაგ წერილებით სულ თან ჰსდევენ, ხან წამოსასხამში გაუხვევენ, როცა საბანაოდ დადის, ხან ბაღში გადმოუგდებენ ხოლმე.

— ღმერთო ჩემო, მაშ შენც გცოდნია ეგ ამბები! იკითხა ელდა ცემულმა ანტონინამ.

— ჩემდა სამწუხაროდ, მარტო მე კი არა, სხვებმაც იციან, თვითონ იმპერატორმაც იცის!

— ძალიან კარგი და აქ ხომ საქმე არც იუსტინიანეს მოკვდინებაზეა და არც ტახტიდამ ჩამოგდებაზედ.

— მართალია, მაგრამ მის თავისუფლად გამგეობას ეხებიან. „ომი გოთთა წინააღმდეგ“—„ბელიზარი დანიშნონ სარდლად“—სამარცხვინოა უმადურს კაცი ემსახუროსო,—ძალა დაატანე იმპერატორსაო, მაგას საკუთარი მისი სარგებლობა ითხოვსო,—ამას ანუ თითქმის ამას იწერებიან იმ ბარათებსა და წერილებში. ტყუილია თუ? რასაკვირველია, ბელიზარმა ყოველს ამას ყურიც არ ათხოვა, მაგრამ მისი ბრალი ეს არის, რომ ყოველივე ეს არ აცნობა იმპერატორს. ეს ისეთი რამ არის, რომ იქნება ბელიზარს თავის მოკვეთად დაუჯდეს.

— ვიშ, მაღალო ღმერთო! დაიძახა ანტონინამ და მწუხარებით ხელების მტვრევა დაიწყო: არ აცნობა იმისთვის, რომ მე ვურჩიე, მე ვჰთხოვე. პროკოპი ურჩევდა უთხარ ყველაფერი იუსტინიანესაო, ხოლო მე, მე მეშინოდა, ვჰფიქრობდი რა კი იუსტინიანე შეიტყობს რომ ბელიზარის ამ გვარს საქმეში იწვევენ, აღარ ენდობა ბელიზარს, გულს აიყრის მეთქი; ვფიქრობდი რომ ამაში ბელიზარის დანაშაულობაზედ ეჭვს აიღებს მეთქი.

— ვითომ, მარტო მაგის გულისთვის ურჩიე არა თქმა, ჰსთქვა ცეტეგმა.

— მაშ სხვა რა იქმნებოდა? ნეტა რა გგონია? ჰკითხა ხმა-დაბლა ანტონინამ და თან და თან სახე სიწითლით ენთებოდა.

— შენ კარგად იცოდი რომ შეთქმულობაში შენი კარგი მეგობრებიც ურევიან, შენ გინდოდა წინ დასწრებით მათთვის გეცნობებინა და მით დრო მიგეცა, რომ როგორმე შეთქმულობიდამ თავი დაეხწიათ, ვიდრე გაჰსცემდნენ.

— მართალია, წაიდუდღუნა ანტონინამ: ბელიზარის თავ-დასხნილი ფოტიუსიც ერია.

— ერთი კიდევ სხვაც არის, ჩამოართვა სიტყვა ცეტეგმა: ის, რომელიც შენ დაიხსენი თეოდორას ოქროს საპყრობილედამ და რომლის გადაკარგვაც ბოსფორში შენ ვერაფრად გიამება.

ანტონინამ ხელები პირისახეზედ მიიფარა.

— მე ყოველივე ვიცი, ანტონინავ, ჰსთქვა ცეტეგმა: შენი უწინდელი ცოდვანიცა და ბოლონდელი კეთილ მიდრეკილებანიც. მის მაგიერ, რომ მარტო ბელიზარისათვის გეფიქრნა, შენ იმისათვისაც ჰფიქრობდი. ახლა ბელიზარის უბედურება რამ შეემთხვას, ვისი ბრალი იქმნება?

— გაჩუმდი, ცეტევ, მეყოფა! შემიბრალე მე, შემიბრალე, დაიკვნესა ანტონინამ.

— სასოწარკვეთილებაში ნუ შეხვალ, განაგრძო ცეტეგმა: შენ დიდი მფარველი და შემწე გყავს იუსტინიანეს წინაშე თუ ბელიზარის ქსოვრიად დაჰკარგავენ, შენ შეგიძლიან დაიხსნა იგი უფრო დიდის სასჯელისაგან, ოღონდ ყოვლად შემძლებელს დედოფალს მიჰმართე.

— დედოფალსაო! დაიკივლა ანტონინამ: ვიშ! მან ფიცი დაჰსდვა რომ ჩვენ ამ ქვეყანაზედ არ გვაცხოვრებს.

— მაშ საქმე ვერაფრად ყოფილა, ჰსთქვა ცეტეგმა: ძალიან ცუდად ყოფილა, იმიტომ-რომ თეოდორამ იცის შეთქმულობის ამბავიცა და ისიც რომ ბელიზარის გარევა უნდოდათ. შენ კარგად იცი, რომ ამაზედ ნაკლებ ბრალისათვისაც.....

— თეოდორამ იცისო, ამბობ შენ? მაშ დავღუპულვართ. მხოლოდ შენ თუ დაგვიხსნი, თორემ სხვა არავინ. დაგვიხსენ გვიშველე რამ.

თავ-მომწონე ანტონინა ორივე მუხლზედ დაეცა ცეტეგის წინ.

ოთახის კუთხიდამ მოისმა მწუხარე ღმუილი: უეჭველია ვეფხვი ამის დანახვაზედ შეშინდა. ცეტეგმა მრისხანეს თვალით შეხედა ვეფხვს და იმავე დროს დაჩოქილი ანტონინა წამოაყენა.

— აღზდეგ ბელიზარის მეუღლევ, სასოებას ნუ წარიკვეთ. დიაღ, არის ღონისძიება ბელიზარის დახსნისა, მხოლოდ ერთად ერთი ღონისძიება კია.

— ისა რომ ეხლავ ყოველი ფერი გაუმჟღავნოს?

— არა, ეხლა ეგ გვიან არის. ეხლა ბელიზარის აღარ დაუჯერებენ, საქმით მოჰსთხოვენ დამტკიცებას და არა სიტყვით. მან უნდა სულ ერთად მოაგროვოს შეთქმულნი და სულ ერთად ხელში ჩაუგდოს იმპერატორსა.

— როგორ უნდა მოაგროვოს სულ ყველანი ერთად?

— თვითონ უნდა მოაგროვოს. ამაღამ იგინი შეიკრიბებიან ფოტიუსის სახლში. ბელიზარი იმათ მოთავედ გაუხდეს. მაშინ იმისათვის ადვილი იქმნება ყველანი ხელში ჩაიგდოს. ანიცი კი წინადვე ცნობილია თეოდორასაგან, თვითონ ანიციმ მითხრა

— დაე იგი მოკვდეს, ბელიზარი უნდა დახსნილ იქმნას.

— განა ბელიზარი თანახმა იქმნება თავისი თავ-დახსნილი მონა ფოტიუსი გაჰსწიროს?

— რა დროს ფოტიუსია? თუ მე მიმიძღვის რამე ბელიზარის წინაშე, დღესვე დაგიმტკიცებ მაგასა. დარწმუნებული იყავ, რომ ბელიზარი ყოველს ფერში დაჰყვება ჩემს, ჩვენს ერთხმად გადაწყვეტილს რჩევასა.

— ძალიან კარგი. მაშ შუაღამისას ბელიზარი ფოტიუსის სახლში უნდა იყოს. როცა გუშაგი დაიყვირებს თორმეტი საათიაო, მე შემოვარდები დარბაზში. ბელიზარიც შემოვა იქ, რაწამსაც დაინახავს ჩემს ზანგს სიფაქსა სახლის ნიშში, პეტრეს ლუსკუმასთან. კარგი იქნება, რომ რამდენიმე გუშაგი დააყენოს სახლის წინ; თუ საჭირო იქნება, ისინი მიეშველებიან და ბოლოს მოწმებათაც გამოადგებიან. ბელიზარის დიდი ხერხიანობა არ დასჭირდება. იგი მივა რამდენიმე წუთით ჩემზედ წინად, მარტო ყური უგდოს და თვითონ კი ხმასაც ნუ ამოიღებს. არც არაფრის ნიშანი გვინდა ჩვენ მისგან, ჩვენ თვითონ თავის დროზედ ჩვენ თავად მივალთ,

— სწორედ კი მიხვალ?

— ნამდვილად. ეხლა კი მშვიდობით, ანტონინავ!

ცეტეგ მსწრაფლად წამოდგა და [illegible] და კარებისაკენ, რომ თვალი არ მოუშორებია ვეფხვისათვის და ხელი ხანჯლისათვისა. მხეცი თითქო, კარგს შემთხვევას ელოდაო, რომ ზედ შეხტომოდა ცეტეგს.

— „დაწვე დარიოს, გახურებულო რკინავ!" დაუყვირა ცეტეგმა და ხანჯალი დაანახვა. ამ სიტყვებით გავიდა გარედ. ვეფხვმა დაღუნა თავი და მწუხარედ დაიღმუილა.

(შემდეგი იქნება).

---

გამგეობა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ მეხუთე ტირაჟში, რომელიც იქმნა 7-ს ნოემბერს ამ 1877 წლისას, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამა ბანკის გირავნობის ფურცლისა.

I სერია

18 წლის და შვიდის თვის ვადისანი, ათ თუმნიანები: №№ 32, 99, 48, 60, 1, 25, 85, 75.

II სერია

$54^{1}/_{2}$ წლისა ვადისანი, ათ თუმნიანები: №№ 53 და 43.

$27^{1}/_{2}$ წლის ვადისანი, ას თუმნიანები: №№ 87 და 200.

III სერია

$54^{1}/_{2}$ წლის ვადისანი ათ თუმნიანი № 81.

$27^{1}/_{2}$ — — — ას თუმნიანი № 140.

$27^{1}/_{2}$ — — — ორმოცდა ათ თუმნიანი № 148.

$27^{1}/_{2}$ — — — ათ თუმნიანები №№ 66 და 120.

IV სერია

$54^{1}/_{2}$ წლის ვადისანი, ათ თუმნიანი № 12.

$27^{1}/_{2}$ — — — — ორმოცდა ათ თუმნიანი № 19.

V სერია

$54^{1}/_{2}$ წლის ვადისანი ორმოც და ათ თუმნიანი № 21.

$27^{1}/_{2}$ — — — — ათ თუმნიანი №№ 40, 1, 23და36

VI სერია

$27^{1}/_{2}$ წლის ვადისანი ათ თუმნიანები №№ 1, 8, 6 და 7.

თუმცა წესდებულების ძალით ამ გირავნობის ფურცლებში ნაღდი ფული უნდა მიეცეს ამ წლის 2-ს იანვარსა, მაგრამ შემლება კასსისა ნებას აძლევს გამგეობას დღეიდამვე ამ გირავნობის ფურცლებში ფული დაურიგოს ხოლო შვიდს წლის-სარგებელს უკან გამოვა იმ დღეთა რიცხვის მიხედვით, რამდენიც 2-ს იანვრამდე დარჩება.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Ноября 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.